სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ აცხადებს ბაზრის მოკვლევას, აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის (სატელევიზიო ეთერის მეშვეობით) ლიცენზიის შესყიდვაზე შემდეგი რაოდენობის და სახეობის პროდუქციაზე:

უცხოური წარმოების მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური სერიალების და ანიმაციური ფილმების ლიცენზიის შესყიდვის ბიუჯეტი - არაუმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი.

1. **უცხოური მხატვრული ფილმი - 100 ფილმი.**

კრიტერიუმები:

- 30 ფილმი ასაკობრივი შეზღუდვების გარეშე;
- ფილმები, რომლის შექმნაში მიიღო მონაწილეობა ორმა ან მეტმა კინემატოგრაფიაში მოღვაწე ცნობილმა ადამიანმა ან/და ფილმები, რომლთაც მოპოვებული აქვთ სხვადასხვა მსოფლიო ფესტივალების ჯილდოები;
- ჟანრი: სათავგადასავლო, კომედია, საოჯახო, სპორტული, მელოდრამა, ისტორიული, დრამა, დეტექტივი, ფანტასტიკა, საახალწლო და რელიგიური თემატიკის;
- ფილმების გადაღების თარიღი 2005-2022 წწ.;

2. **დოკუმენტური ფილმი** (45/60 წთ.) -50 **ფილმი;**

   დოკუმენტური ფილმი (20/30 წთ.) - 50 **ფილმი.**

კრიტერიუმები:

- ცნობილი კომპანიების: BBC, Dicvovery, National Geographic, History Channel წარმოების ფილმები. ასევე, საინტერესო თემატიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ნებისმიერი წარმოების, გარკვეული რაოდენობის დოკუმენტური ფილმების შეძენა;
- თემატიკა: უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები, სპორტული, ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ცნობილი ადამიანები და მიღწევები მეცნიერების, მედიცინის, ეკოლოგიის, ხელოვნების, კულტურის სფეროში, მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო;

- ფილმის გადაღების თარიღი 2015-2022 წწ. საინტერესო თემატიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მითითებულ თარიღამდე წარმოებული ფილმის არჩევა;
- შესაძლებელია ზემოთაღნიშნული თემატიკის დოკუმენტური ფილმების ციკლი;

3. **ანიმაციური სერიალი - 55 საათი** და **ანიმაციური ფილმი - 20 ფილმი**

კრიტერიუმები:

- პრიორიტეტი მიენიჭება ცნობილი სტუდიების ფილმებს: Walt Disney, Warner Bros, Cartoons, Dream Works Animation;
- ჟანრი: შემეცნებითი, სათავგადასავლო, ისტორიული, ფანტასტიკა;
- ანიმაციური სერიალი 12-30 წთ. ხანგრძლივობით;
- ანიმაციური ფილმი არანაკლებ 1ს.20 წთ.;
- გადაღების თარიღი 2010-2022წწ.

პროდუქციის (უცხოური მხატვრული ფილმი, დოკუმენტური ფილმი, ანიმაციაური სერიალი, ანიმაციაური ფილმი) გახმოვანება - ორ ხმაში.

პოტენციურმა მომწოდებელმა, ყველა პოზიციაზე (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური სერიალი და ფილმები), უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი პროდუქციის სია, რომელიც არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, თითოეულ ასარჩევ პოზიციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი ფილმი/სერიალი. ასევე, უნდა წარადგინოს გახმოვანების ნიმუში თითოეული კატეგორიისთვის.

პოტენციურმა მომწოდებელმა წინადადება უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს 2023 წლის 03 ივლისს შემდეგ მისამართზე:

ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი #41, ელ.ფოსტა: konkursi@ajaratv.ge

საკონტაქტო პირი: სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი ინგა გოგოლიშვილი, მობ. 591980520.